# საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 289 დამატების № 51

კვირა, 25 ქრისტეშობისთვე, 1916 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ ღმერთების დამხობა. ნახატი ჰერმან პრელიხა.

* * *

ქალო, მარტო ნუ დაფრინავ,
ვით ფარვანა, ვით პეპელა,
თორემ არც მზე მოგიწონებს,
არც შვიდ-ფერი ცისარტყელა!..

ერთი იყო, ერთი მოკვდე,—
რა წესია, რა კანონი?!
ყვავილები უნდა გყავდეს
დასაკოცნი, დასაკონი.

ბუნებამ რომ ნაზად გშობა
და ქალობა შემოგბედა,
თუ მის კანონს უღალატებ,
დაგერქმევა „არა-დედა“.

დიახ, დედა ახლა გვიჭირს,
გმირ შვილების გამომზრდელი,
რომ შეავსონ ჩვენის ქვეყნის
სისხლ-დაცლილი მთა და ველი.

ქალო, ერთი ნუ დაფრინავ,
ვით ფარვანა, ვით პეპელა,
თორემ გმობას შემოგითვლის
მზესთან ერთად ცისარტყელა.

შიო მღვიმელი.

# მეგაღე

(თაგორით)

ლამპარი ჩაჰქრა ჩემ საწოლთან ნელი პარპალით
და მეც განთიადს მივესალმე ფრთოსნებთან ერთად..—
სარკმელს დავეყრდნე ყვავილებით გვირგვინოსანი.

წყნარი ნაბიჯით განთიადის ვარდისფერ ნისლში
ის ახალგაზრდა მოგზაური მოაბიჯებდა..
ყელზედ ეკიდა მარგალიტის ძეწკვი ხვეული,
გვირგვინს მზის სხივი ათასფერად უელვარებდა.

იგი გაჩერდა ჩემს კარებთან სახე მიმქრალი
და მოუთმენლად შემეკითხა: „სად არის იგი?.
სირცხვილისაგან ვერ უთხარი: თუ მე ვიყავი,
ის ახალგაზრდა მოგზაური, ვისაც ეძებდა..

საღამო იყო..
და ლამპარი ჯერ არ ამენთო,
ნაწნავს ვიწნავდი ფიქრებისგან გონარეული..
და ჩამავალ მზის ელვარებით გამშვენებული
მბრწყინავი ეტლით ის მიჰქროდა თავდავიწყებით..
ქაფში სცურავდნენ დაქანცული მისი ცხენები,
მტვრით შესვრილიყო, მისი წმინდა ოქრონემსული.

ეტლი გაჩერდა ჩემს კარებთან და ჩამოვიდა..
ღონე-მიხდილი შემეკითხა: სად არის იგი?.

შემრცხვა. გავწითლდი მისი მზერით განცვიფრებული,
თორემ ვეტყოდი: მე ვარ—იგი, დაღლილო მგზავრო!.

აპრილის ღამე..
ჩემს ოთახში ლამპარი ბჟუტავს,
ჩუმად შრიალებს მოჩურჩულე სამხრეთის ქარი,
და მოუსვენარ თუთიყუშს კი, გალიაში სთვლემს.

მე ფარშევანგის ყელისფერი მაცვია ფარჩა,
მწვანე ბალახს ჰგავს ჩემი გძელი წამოსასხამი..

ღია სარკმლიდან გადავყურებ მდუმარე ქუჩას
და ჩუმად ვმღერი, მთელი ღამე შეთრთოლებული:

—თავგანწირულო მოგზაურო, იგი—ხო მე ვარ!..

**გ. ლეონიძე.**

# გედნიერი მამა ხარ

(საშობაო სურათი)

შობა ღამე იყო... კაცია კეთილაძის ოჯახში საზეიმო მხიარულებაა. პურმარილიან და სტუმართმოყვარე ოჯახს, უხვად გაეშალა გული და მეზობლებთან ერთად ბრწყინვალე შობის შესახვედრად მხიარულად ატარებდა დროს... დარბაზის სიგრძეზე მდგარ ქართულ უჯრებიან და ნახარატევიან ტახტზედ გადაშლილი იყო ლურჯი სუფრა... ზედ ელაგა შობის შესაფერი სანოვაგე... გარს შემოსხდომოდნენ სტუმრები და გულიანათ ქეიფობდნენ. სუფრის თავს, სადაც მასპინძელი იჯდა, თავი მოეყარა სოფლის რამდენსამე ახალგაზრდას და ტკბილის გუგუნით დასძახოდნენ ხან სევდიან და ხანაც მხიარულ სიმღერებს, ახალგაზრდანი სიმღერას რომ შესწყვეტდნენ, ახლა ქალები მუზიკა-დაირას აახმაურებდნენ, რასაც მიჰყვებოდა უკვე კარგად შეზარხოშებულთა არეული ტაშის ხმა... ან კიდევ რომელიმე მათგანი ფეხების ფარფატით, გადავიდოდა სათამაშოდ, რაც იქ მყოფთა შორის საერთო მხიარულებას და კიჟინას იწვევდა.

— იმხიარულეთ... იმხიარულეთ,— თქვენი ჭირიმეთ,—გასძახოდა კაცია სტუმრებს და თან ღვინით სავსე ჯაალებდა...

ასეთ მხიარულებაში იყო კაციას ოჯახი, რომ უეცრივ კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდნენ ორნი უცნობნი, შემოდგომის სუსხიან სიცივის შიშით ნაბდებში გახვეულიყვნენ და სახე ყაბალახებით შეებუდნათ. უცნობებმა შუა დარბაზისკენ გაბედულად გადადგეს ფეხი და ერთმა მათგანმა უფრო გაბედულად შესძახა იქ მყოფთ, მშვიდობა თქვენიო და თან ნაბადის მოხდას შეუდგა...

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა,— უპასუხეს თითქმის ერთხმად ყველამ და დაუწყეს ცქერა. ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ვინ იყვნენ ეს უცნობნი, რომელთაც ასე გაბედულად შემოსდგეს ოჯახში ფეხი. უკანასკნელმა ნაბადი რომ მოიხადა, გამოჩნდა ბრჭყვიალა ეპოლეტები, მასპინძელმა იცნო მათი ხეობის ბოქაული და სწრაფლ წამოხტა და კეთილ იყოს თქვენი მობრძანებაო.

— მობრძანდით, აქეთ მობრძანდით,—იპატიჟებდა მასპინძელი სუფრის თავს, სადაც სახლის დიასახლისებს უკვე მოესწროთ მუთაქების აწოწოლავება პატივცემულ სტუმრისთვის.

მოსულმა თავაზიანად მადლობა გადაუხადა და, ცოტა არ იყოს, ამაყურის თავ-აღებით შესკუპდა მუთაქებზედ...

— მართლაც, როგორც ამბობდნენ, პურმარილიანი ოჯახი გქონია,—მიმართა მოსულმა უცნობს... კეთილი... კეთილი...,—მე ძრიელ მოხარული ვარ, რომ შენ ოჯახში ასეთ მხიარულებას ვხედავ...—დაიწყო მოსულმა, როცა კარგად შენაყრდა და რამდენიმე ჯამი ღვინოც შესვა... ღირსეულ მამას, ღირსეული შვილი გამოსვლია და აკი ბედნიერი მამაცა ხარ...

შვილის ხსენებაზედ კაციას მოაგონდა; თავისი პირველი შვილი ვანე, რომელიც ახლა ბრძოლის ველზედ ჰყვანდა, თვალები ცრემლებით აევსო და მწარედ ამოიოხრა...

— თქვენი შვილი ომშია, არა?.. კვლავ დაიწყო უცნობმა.

— დიახ, ომში გახლავთ ბატონო, —მიუგო თავაზიანად კაციამ, და თან სახეზედ შიშის ფერმა გადურბინა, რადგან ვერ მიმხვდარიყო თუ რათ ჩამოაგდო ბოქაულმა ლაპარაკი ვანეზედ.. ყველა იქ მყოფნიც გაჩუმდნენ და ცნობისმოყვარეობით ყურს უგდებდნენ მოსაუბრეს.

— ბედნიერი მამა ხარ... ბედნიერი, ჩემო კაცია...—ღიმილით მიმართა ბოქაულმა და თან კისერზედ ხელი გადახვია გვერდზედ მჯდომ კაციას...

— როგორ, ბატონო?!.

— ჰუმ. . როგორ?!. ნეტაი მეც მღირსებოდა ისეთი დიდი ბედნიერება და წყალობა, როგორც შენ შვილს და შენ... ეხლა მთელი ქვეყანა შენ შემოგნატრებს, როცა გაიგებენ...

კაცია სრულიად დაიბნა, აზრებმა არეულად დაუწყეს თავში ტრიალი და ვერაფერი გაეგო, თუ რაში გამოიხატებოდა მისი ბედნიერება.

— მითხარით, ბატონო ბოქაულო, რაშია ჩემი ბედნიერება?..

— რაშია?!. გეტყვი, გეტყვი,—აბა ჯერ თითოც დავლიოთ.

ამის გაგონებაზედ ყველამ აივსეს ჭიქები და ბოქაული ადღეგრძელეს, რასაც მოჰყვა ახალგაზრდათა მწყობიარე მრავალჟამიერის სიმღერა... როცა სიმღერა დამთავრდა, ბოქაულმა მადლობა გადაუხადა და სავსე ჯამით ღვინო გამოცალა... შემდეგ მიმართა მასპინძელს...

— იცი, ჩემო კაცია,—შენს შვილს ვანეს ოთხთავე ჯვარი მიუღია და პროპორჩიკათ წარუდგენიათ... მამაცობისთვის... განა აძაზედ მეტი ბედნიერება იქნება?.

კაციას ამის გაგონებაზედ სახეზედ მხიარულების ღიმილმა გადურბინა და იქ მყოფთ ამაყურად გადახედა... თითქოს უნდოდა ეთქვა: „შემომხედეთ, რა ბედნიერი კაცი ვარო“... იქ მყოფთ იგრძნეს კაციას სურვილი, ყველამ ჭიქები ხელში აიღო და დაუწყვეს მილოცვა. მხოლოდ ქალები ვანეს ახალგაზრდა ცოლს შურით უცქეროდნენ, ის კი ბედნიერებით თავბრუ დასხმული თრთოლავდა...

— ოხ, ვენაცვალე, ჩემს ბიჭიკოს, —აქაც კარგი მყავდა და იქაც ხომ... აბა სტუმრებო გავმხიარულდეთ...

მაგრამ აქ ბოქაულმა უეცრივ შეაწყვეტინა მასპინძელს...

— ხო, და..,—დაიწყო ბოქაულმა,— ამ ბედნიერებას გილოცავს თვით მთავარსარდალი და გატყობინებს, რომ ღირსეული შვილი, ღირსეულად შეიწირა ბრძოლის ველმა.. მე მგონია, რომ... ამის შემდეგ სიკვდილიც ბედნიერებაა...

— რაო?!.—საშინლად შეგლავლა კაციამ და საშინელმა კანკალმა აიტანა... იქ მყოფთ თითქო წყალი გადაასხესო, ისე დაიწყეს თრთოლვა...

— როგორ?..განა არც კი გიხარიან?..— ცოტა არ იყოს, გაჯავრებულ ეტყვინა ბოქაული,—რომ იქ ბედნიერებამდის მიაღწიე, მთავარსარდალი გილოცავს და შენი შვილი ღირსეულად შეიწირა...

ამის გაგონებაზედ ქალების შორის გაისმა საშინელი ქვითინი.. კაცია ერთ ხანობას გაშტერებული იჯდა... მერე უეცრივ წამოხტა... და საშინელი სიცილი ძორთო... საბრალო მოხუცი... ჭკუაზედ შეიშალა... მხოლოდ ბოქაული იქვე იჯდა გაშტერებული... ღვინით თავგაბოუებული... და ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ მადლობა არ მიიღო ასეთ ბედნიერების ხარებისთვის... ვერ მიმხვდარიყო...

**ვანო საათაშვილი.**

ქ. გუმიშხანა.

# სიკვდილის ფრთეგ ქვეშ

(დასასრული)

V

სამსონი სიტყვას ასრულებდა. თითქმის სამს დღეში ერთხელ, უკედ, რაწამს თავისუფალ დროსა ნახავდა, უმალვე წყოილით ეტყობინებდა თავის თაკგადასავალს. კილო მეტად აღფრთოვანებული იყო. სწერდა მოკლე-მოკლე ფრაზებით. რა აღტაცება იხატებოდა ყოველს სტრიქონში, როდესაც ბრძოლის ველზე მისვლისთანავე მის წინ ათასხუთასი ავსტრიელი ტყვე გამოატარეს.

„მოჰყავდათ ჯგუფ-ჯგუფად... ჩვენს მამაც მხედრებს სახე სიხარულით ასწითლებოდათ. ამპარტავნება ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით შერცხვენილთა საცოდავი მდგომარეობა. ოჰ, ქეთინო, ასეთი ამბავი რომ ოდესმე მაინც დამემართოს, უმალ მიწაში ჩავძვრებოდი, თავს მოვიკლავდი და ამ შერცხვენას კი ვერ ავიტანდი. მალე კარპატებს გადავქელავთ. ჯერ ლვოვი გვიდევს წინ. ერთი შეტევით ავიღებთ ამასაც და შემდეგ, ჰერი ბიჭო! მათს გულის გასახეთქად მათივე სიტყვებით დავჭყივლებთ: nach Berlin!“

აღფრთოვანებული კილო, მართალია, არც შემდეგ შეუცვლია, მაგრამ ტონი გაცილებით თავდაჭერილი იყო. აქებდა მტრის სიმამაცესაც: „მტერს მაშინ დაამარცხებ, თუ მის ღირსებას პატივს არ აჭერი და აბუჩად არ აიგდებ მის ძალ ღონესაო“,—სწერდა სამსონი ერთ-ერთ წერილში. უქებდა მტერს სითამაძეს და განსაკუთოებით ტეხნიკას. თუ ჩვენი ჯაოების სიმაძაცე არა, მათს ტეხნიკას აღაოა დაუდგებოდა რა წინაო. შემდეგ ჩვეულებოივ ათავებდა წერილს: „ლვოვი... ბუდაპეშტი... ბერლინი...“ ბოლოს ალერსი კოცნა, მოკითხვა მეგობრებისადმი, ხუმრობა და დაოიგება:

„არ იდარდო, აი! ჩემი ჯავრი ნუ გექნება. მეც მალე ძოვალ... ეხლა მშვიდობით... საველე ტელეფოხთან მეძახიან“...

ქეთინო წერილს წერილზე ჰგზავნიდა იმისი შიშით, შეაძლებელია, ხოგიერთი დაიკარგოს, და დაუგვიანდესო, ამ ბევრში ცოტას მაინც ძიიღებესო. რა ბედნიერი იყო, როდესაც პიოველად მიიღო წერილზე პასუხი! ჰკოცნიდა, უბეში იხუტებდა.

— „მაშ მართალს ამბობ? მიიღო წერილი? ჰოო? გმადლობ, გძადლობ... გაეხარდა? ასე აკოცა, როგორც მე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზამთარი.

ვკოცნი? უჰ, უჰ, იმ.ალაც სურნელი მო-
უფრქვევ-ა... რა მშვენიერებაა! ასე
განგებ თუ ჩაიდინა!.. განსაკუთრებული
ყურადღებაა... განსაკუთრებული საამო
გრძნობანი... აგერ, აგერ... ისიც აქ
არის... აქ... სტრიქონებიდან იპყრტე-
ბა... გამარჯობა... წერილს თან მოჰ-
ყევი?.. თუ ეს შენი სულია... შენი
გული...“

შორიდან მაყურებელს ტიკინით
გართობილი ბავშვი ეგონებოდა. ქე-
თინო უაღრესად ბედნიერი იყო ყო-
ველთვის, როცა კი ბრძოლის ველი-
დან ბარათი მიუღია. ათვალიერებდა
ყოველს სტრიქონს. ჰყნოსავდა, ბო-
ლის სუნი თუ უდის, დიდი ბრძოლები
გადუხდია. წერილის სიყვითლეც კა-
თავისებურად ესაუბრებოდა და თით-
ქოს სამსონისგან დაფარულს ამბებს
ატყობინებდა, განსაკუთრებით მაშინ,
როდესაც რაღაცა ნახევზე ორიოდ
სიტყვით, ნაწყვეტებით, მღელვარე კი-
ლოთი აგრძნობინებდა, გენერალური
ბრძოლა გაჩაღდა, რამაც უნდა ყოფნა-
არ ყოფნის საკითხი გადაწყვი-
ტოსო. ამის შემდეგ წერილი აღარ
მიუღია. ქეთინო მთლად გადაირია,
ეგონა, ბრძოლის ქარიშხალმა მრავალ-
თა შორის ისიც იმსხვერპლაო. უნდა
გვნახათ, როგორ აკანკალდა, კინაღამ
გული წაუვიდა, როდესაც ფოსტალი-
ონმა დეპეშა მოიტანა.

ტორტმანით კედელს მიეკრა. მთრ-
თოლვარე ხელიდან დეპეშა გაუვარდა.
რამდენიც მოისურვა მისი ჩქარი გა-
ხსნა, იმდენად უფრო მოგვიანდა, თვა-
ლები უჭრიალებდა, როდის როდის
მოიკრიბა ძალონე და სიხარულით
შეჰკივლა,—სამსონი ლვოვის აღებას
ულოცავდა და გიორგის ჯვრის მი-
ღებას.

— კიდევ წარმატება, კიდევ... კი-
დევ...

ფოსტალიონი უხვად დააჯილდოვა.

— ეს შენ, მეგობარო, ყოველთვის
ასეთი ამბები და საჩუქარი არ მოგა-
კლდება...

VI

ქეთინო ვრცელ წერილის მოლო-
დინშია, სადაც აწერილი იქნებოდა
ლვოვის აღების ამბები. აგერ, თვემაც
გაიარა, მაგრამ ეს სასურველი წერი-
ლი არა სჩანდა. ქეთინო აჯინჭრდა.
წინაგრძნობამ არ მოუსვენა. დეპეშა
დეპეშაზე აფრინა სინამდვილის გასა-
გებად. როდის როდის შეატყობინეს,
რომ სამსონი არც მოკლულია, არც
დაჭრილი, ხბილოდ შავი სახადით
არის ავადაო. შემდეგ ატყობინებდნენ
ჟმერინკაშია გადაყვანილი, საველე სა-
ავადმყოფოდან ახლა ამა და ამ ლა-
ზარეთშია მოთავსებულიო. ქეთო კი-
ნაღამ შეიშალა. საავადმყოფოს უფ-
როს ექიმის სახელზე დეპეშა გაჰკზავ-
ნა, სინამდვილე შეიტყო, გაიგო ისიც,
რომ ავადმყოფის კრიზისი მალე დაი-
წყება, ყოველ შემთხვევაში 40% იმე-
დია, რომ გადარჩესო. ქეთინოსთვის
ეს ცნობა უკვე საკმარისი იყო. სწრა-
ფად სამგზავროდ გამოეწყო და პირ-
ველ მატარებელს გაჰყვა.

გზად სულ სტიროდა, საცოდავად
იმდუღრებოდა. თანამგზავრნი სცდი-
ლობდნენ ენუგეშებინათ, მაგრამ ვერა
გაეწყოთ რა. ყოველს სადგურზე აუა-
რებელ ჟურნალ-გაზეთებს ყიდულობ-
და, დაჭრილ-დახოცილთა სიებს გა-
ფაციცებით კითხულობდა.

— რომ ვერ მივუსწრო?.. კრიზისს
გადიტანს? ვინ იცის, აღსრულდა კი-
დეც... უპატრონოდ ჩაჰფლეს... აჰ,
აჰ!..

ხელებს იმტვრევდა, ტკივილებს ძა-
ლად იყენებდა, რომ დაჭრილი სულის
კვნესა შეეჩერებინა.

— ასე არ შეიძლება ქალო, ვის არ
ჰყოლია ავად სატრფო... ღმერთი დი-
დია...

— ღმერთი... ღმერთი... თუ ეს
ასეა, ვის რად უნდოდა ეს უმსგავსი
გლეჯა და ფლეთა?

მაგრამ აი, მატარებელი შეჩერდა
სასურველ სადგურთან. ქეთინო ელვა-
სავით გამოიჭრა. ეტლი დაიჭირა. გუ-
ლი გაიქვავა. თალხი სამოსი ნაზი ტო-
ნებით უჩრდილავდა გაცრეცილს სა-
ხეს, როგორც მგლოვიარე მაგდალი-
ნელს.

— მითხარით, ცოცხალია?

მიჰმართა ლაზარეთში შესვლისთა-
ნავე პირველს შეხვედრილს დას.

— ვინ, ქალბატონო?

ქეთინომ ბევრი იგონა, ვიდრე სამ-
სონის სახელსა და გვარს მოიგონებ-
და. როდესაც დადებითი პასუხი მიი-
ღო, კრიზისის უკანასკნელი პროცესი
დღეს თორმეტ საათამდის გაგრძელ-
დებაო, ქეთინომ გულის მღელვარებას
ვეღარ გაუძლო და მოცელილს ყანა-
სავით წამოიქცა.

როდესაც მოაბრუნეს, ქეთინომ მო-
ითხოვა ავადმყოფის ნახვა. ექიმი უარ-
ზე იდგა, არ შეიძლება, ვიდრე კრი-
ზისი არ გაივლისო. მეორეც, თვითონ
ქეთოსაც ეშინოდა. ნერვებს მოშლილს
ასეთს ყოფაში ადვილად შეიძლება
ტვინის ანთება მოუვიდესო. მაგრამ ქე-
თომ ძალა მოიკრიბა. საყვარელ ადა-
მიანის ნახვა თურმე სიკვდილზე ძლი-
ერი ყოფილა. მისი თხოვნა საბოლო-
ოდ შეწყნარეს. ხუთიოდ წუთით მის-
ცეს ნება ავადმყოფის ნახვისა, ოღონდ
სარეცელს არ უნდა მიჰკარებოდა და
არც თუ ავადმყოფს გამოჰხმაურებო-
და.

VII

ქეთოს სტოიკურმა სიკერპემ, მართ-
ლაც, ყველანი გაანცვიფრა. საყვარელ
ადამიანს სარეცელის თავთან შავ ძაძა-
მოსილის ქანდაკსავით დაჰყურებდა.
მაგრამ ეს იყო მხოლოდ სამიოდ წუ-
თის განმავლობაში. შემდეგ კი გუ-
ლის მღელვარებას მოჰხსნა პირი, რო-
დესაც ალღომ უკარნახა, რომ სამსო-
ნი ამ ქვეყანას აო ეკუთვნოდა, ქეთი-
ნოს საშინელი ბღუილი აღმოხდა გუ-
ლიდან. ავადმყოფი შეინძრა. ინსტიქ-
ტიურად მისკენ გადმოიხარა თავი.
დამძიმებული ქუთუთოები ასწია. თვა-
ლები უაზროდ შეანათა. უყურა, უყუ-
რა, თითქოს ჰსურს უცნაურად მოვ-
ლენილ ლანდის ამოცნობაო.

— სამსონ!..

ვეღარ მოითმინა ქეთინომ და სა-
რეცელთან წამოიჩოქა. ექიმმა ხელი
წაატანა წამოსაყენებლად, მაგრამ ქე-
თინომ ჩაჰბღუჯა სარეცელის კალთა

და ცოცხალის თავით აქედან დაძვრას არ ჰლამობდა.

— სამსონ...

ერთხელ კიდევ წამოიბღავლა მდუღარება მოხეთქილ ქალმა.

— ქე...თო... ქე...თინო...

წამოიზმუვლა ავადმყოფმა...

— ჰო, ჰო, ქეთო ვარ... გენაცვალე... ქეთო... შენი ქეთო...

ავადმყოფმა თავს ძალა დაატანა. უსიტყვოდ წამოიზიდა იმავე გაშტერებული თვალებით. ისე მოსჩანდა თითქოს ყოველი მისი ნაკვთი ადამატით ეწევა საყვარელ არსებასთან ჩასაკონებლადაო. მაგრამ მისმა დაქუტილმა ორმა შუშის საზარელმა აპარატმა ქეთოს სურათის მეტი ვერა მიიტაცეს რა და უკანასკნელ შებრძოლებისთანავე ბალიშს ოდნავად ასწია თავი, რომ კინწში მოსწყდა და უეცრივ დაეშვა.

— სამსონ... სამსონ...

მიჰვარდა ახლა კი და შმაგად დაუწყო კოცნა. ექიმი და დები მოეხვივნენ მოსაშორებლად, მაგრამ ყველანი ერთის ხელის კვრით მოიშორა.

— მომშორდით... მომშორდით... ჯალათებო... მეყაპენო... თქვენ რა ხელი გაქვთ, რომ მაშორებთ ჩემს სანეტაროს?

ველური ხმით აღმოხეთქილი გულის პროტესტი ცისა და ქვეყნისადმი მხოლოდ ამ ექიმსა ‌ დ დებზე გადმოანთხია წუთიერად. ქეთო დამშვიდდა, პირი იბრუნა სამსონისაკენ, სინაზის გრაციად მოიქსოვა, დაჰკოცნა სატრფო და ზღაპრულის სიმშვიდით ჩასჩურჩულა:

— სულელთ, რა ესმით, თუ რა კარგია სიკვდილის ფრთებ ქვეშ თავდავიწყებით ცეკვა-თამაში! მაგათ ჰსურთ მშვენიერების ხლართი ტლანქი შეხებით დაარღვიონ... მაგრამ არ შეშფოთდე, როგორც არ შეშფოთებულხარ, გახსოვს, მაშინ, ალმასა ფიფქით პირს რომ ვიბანდით სოფელში და მწვერვალიდან უფსკრულის პირას ციგით მოგსრიალებდით და ვმღეროდით ღლტაცებულნი! ეხლა ციგამ გადაიხარა. შენ მიჰფრენ უფსკრულში? მეც შენთანა ვარ... უკან მოგდევ გედის სიმღერით... მისი თეთრი ფრთებით აგერ მოვფრენ...

მისი უკანასკნელი კოცნა სიკვდილის აიაზმით მოისხურა და იმ ღამესვე თვითონ ქეთინოც შავ ყვავილების შავ კოკრებით გადაიფოთლა.

. . . . . .

მესამე დღეზე მთელი ამერინკის მცხოვრებნი დიდს პროცესიას ჩაჰყოლოდნენ და ათასნაირად გადასცემდნენ უცნობ ახალგაზრდაცა რომანტიულს თავგადასავალს.

— ვის მიასვენებენ ამ დიდებით?

— განა არ იცით, ახალგაზრდა ქართველი კორნეტის სატრფო ყოფილა, რომელიც სახადით გარდაიცვალა.

მსმენელნიც თავს იქნევდნენ.

— ეჰ-ეჰ-ეჰ... თურმე სიყვარულის მშვენიერებას თვით საზარელი კაციჭამიაობა და ზარბაზანთა გრიალიც ვერ სპობს...

ამასობაში პროცესიაც იზრდებოდა. სამხედრო მუსიკა კი შოპენის „marche funébre“-ის მკვნესარე ხმებს შორით შორს ჰფანტავდა და ცხედრის გარშემო ახალ-ახალს ცნობის მოყვარეთ მოუხმობდა...

**დ. კახრაძე.**

**დრ. საზ. გამგეობის არჩევნების მოლოდინში**

**„კოლაწერის თავი: ლუწუ-კენტი?**



**ფალავნები**

**ოჯახური უთანხმოება.**

— ჩემო კარგო, რად სჯავრობ, აი, საცაა ომს ბოლო მოეღება და მაშინ...
— დროა, ომს ჩვენს შორისაც მოეღოს ბოლო.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.